

**1. ხელშეკრულების მხარეები**

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „VESTA“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადლენა გაიავციის სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „შემსყიდველის“ საქიროებისთვის, 50 (ორმოცდაათი) ცალი სიგელის (შემდგომში - „საქონელი“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV კოდი: 18530000) გამარტივებული შესყიდვა.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 80 (ოთხმოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ერთეულის (1 ცალი სიგელის) ღირებულება შეადგენს - 1.60 (ერთი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი/მოსაკრებელი/სახდელი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში (საქონლის მიწოდების ვადის პირველ სამუშაო დღედ ითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღე). მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, წერეთლის 11.

4.2. „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება საქონლის მიწოდებისთანავე ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტის სახით, „მიღება-ჩაბარების“ აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით, „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტი, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის ხელის მოწერით.

**6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წარმოდგენილი, სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურის და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტის საფუძველზე, ყველა ამ დოკუმენტის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, წარმოდგენილ უნდა იქნეს სასაქონლო ზედნადები და კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და მხარეთა შორის გაფორმებული „მიღება-ჩაბარების“ აქტი. ამ პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების სრულად (ერთობლივად) წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ საქონელი დადგენილ ვადაში;

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8. მხარეთა უფლებები**

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.